

# ვაშლიანის




დაცული ტერიტორიები

საველა მებოზური

# ვაშლი



## დაცული ტერიტორიები



© ა. კოდიაშვილი

საველე მეზობრი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები - საველე მეგზური 2007

ავტორი: არჩილ ქიქოძე

რედაქტორი: გიორგი დარჩიაშვილი

ფოტოები: ამირან კოდიასვილი, გოგიტა ბუხაიძე, გიორგი დარჩიაშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, პ.თავაძე, SDPIA-ისა და "NACRES"-ის ფოტო არქივები.

რუკები: მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო. დიზაინი, დაკაბადონება და ბეჭდვა: „პოლიგრაფ +“

© 2007. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

პირველი გამოცემა: 2007

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს ნებართვის გარეშე.


წიგნი მომზადდა და გამოიცა მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დირექციის ინიციატივით.



წიგნი მომზადებულია საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრის მიერ



საფოსტო ყუთი 56, თბილისი 0160, საქართველო  
ტელ: (995 32) 32 64 96, ფაქსი: (995 32) 53 74 78;  
ელ-ფოსტა: office@gccw.org, ვებ-გვერდი: www.gccw.org



## სარჩევი

შესავალი	4
საქართველოს დაცული ტერიტორიები	5
ვაშლიანების დაცული ტერიტორიები ისტორია და გეოგრაფიული მდებარეობა	11
ბუნების ძეგლები	14
ვაშლიანების ნაკრძალი და ეროვნული პარკი	18
ფლორა და ფაუნა — იშვიათი სახეობები	23
ტურიზმი და ინფრასტრუქტურა	35
ტურისტული მარშრუტების მოკლე დახასიათება	39
ვაშლიანების ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში არსებულ სასტუმროთა ჩამონათვალი	42

## შესავალი

წიგნი მოგვითხრობს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილის — ვაშლოვანის ეროვნული პარკის შესახებ, რომელიც საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და უნიკალურია მისთვის დამახასიათებელი ფლორითა და ფაუნით, რელიეფით, ისტორიული ძეგლებითა და ასე შემდეგ.

ვაშლოვანის ეროვნული პარკი უკვე არსებული სახელმწიფო ნაკრძალის გაფართოების ხარჯზე შეიქმნა და აქ არსებული ფაქიზი ეკოსისტემების ეფექტურად დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების კონტროლის საშუალებას იძლევა. ნაკრძალისგან განსხვავებით, ეროვნული პარკი ღიაა უცხოელი და ქართველი ბუნებისმოყვარულებისთვის, ტურისტებისთვის, ჩვენი ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობით დაინტერესებული პირებისთვის და ა.შ. აღნიშნული წიგნი დაეხმარება მათ სწორად დაგეგმონ მოგზაურობა და გარკვეული ინფორმაცია მიიღონ ამ მართლაც ძალზე საინტერესო ადგილის შესახებ.

წიგნის მომზადებასა და გამოცემაში მრავალმა ადამიანმა და ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. წიგნი მომზადდა საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრის მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დირექციისა და მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს თანამშრომლების აქტიური დახმარებით, რჩევებითა და მათ მიერ მოწოდებული სხვადასხვა მასალის გამოყენებით. დიდ მადლობას ვუხდით განეული სამსახურისთვის ყველა ამ ორგანიზაციასა და ადამიანს.

წიგნის მომზადება და გამოცემა დაფინანსდა “საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის” ფარგლებში, რომელსაც მართავს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო და რომელსაც აფინანსებს გლობალური გარემოსდაცვის ფონდი და მსოფლიო ბანკი.



## საქართველოს დაცული ტერიტორიები

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ მეტორმეტე საუკუნეში თამარ მეფემ (1160-1213) გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ VI-ს (1675-1737) „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს ყორულის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს – იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ეგრეთ წოდებული „ხატის ტყეები“, რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალებს წარმოადგენდა. პირველი ოფიციალური ნაკრძალი კი უფრო მოგვიანებით, 1912 წელს, კახეთში შეიქმნა და მას ლაგოდეხის ნაკრძალი ეწოდა. მე-20 საუკუნის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანდათან სხვა ნაკრძალები და დაცული ტერიტორიებიც დაფუძნდა.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა. შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციებს ემყარება.





ამ კანონის მიხედვით საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

დაცული ტერიტორია	მიზანი	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება	II
აუნების ქაზლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა)	III
ალკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება	VI

დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების ხუთი კატეგორიაა წარმოდგენილი და მათი საერთო ფართობი 462,676.5 ჰექტარს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 6.6 %-ია (რუკა 1). ქვემოთ მოცემულია მოკლე ინფორმაცია თითოეული კატეგორიის დაცული ტერიტორიის შესახებ:

## 1. ნაკრძალი

საქართველოში პირველი ნაკრძალი 1912 წელს ლაგოდეხის ხეობაში დაარსდა. ასეთი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე შესვლა ნებადართულია მხოლოდ საგანმანათლებლო და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით, სპეციალური ნებართვით. დღეს საქართველოში 18 ნაკრძალი ფუნქციონირებს, რომელთა საერთო ფართობია 169,391 ჰა.

## 2. ეროვნული პარკი

საქართველოში პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც თბილისის ეროვნული პარკი ეწოდა, 1973წ. შეიქმნა (შემდგომში გაუქმდა). 1995 წელს დაარსდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ეროვნული პარკები შედარებით დიდ ფართობს მოიცავენ, ამიტომ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის. ამას გარდა, ეროვნული პარკები დიდ როლს ასრულებენ ტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზებაში. 1998 წელს დაარსდა კოლხეთის, 2003 წელს



თუშეთისა და ვაშლოვანის, ხოლო 2006 წელს - მტირალას ეროვნული პარკები. იგეგმება კიდევ ხუთი ეროვნული პარკის შექმნა - რაჭის, სვანეთის, ჯავახეთის, თბილისისა და ყაზბეგის. 2007 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი გაერთიანდა ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელში, PAN Park-ებში, რაც დაცული ტერიტორიების უმაღლეს დონეზე დაცვისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების გარანტიაა.

### 3. ბუნების ძეგლი

საქართველოში პირველი სამი ბუნების ძეგლი 2003 წელს შეიქმნა, საერთო ფართობით 238.5 ჰა. ესენია შედარებით პატარა ზომის ტერიტორიები, რომელთაც განსაკუთრებული ფასეულობა ან თავისებურება აქვთ (ეს შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვა). იგეგმება კიდევ რამდენიმე ბუნების ძეგლის დაარსება.

### 4. აღკვეთილი

საქართველოში პირველი სამონადირეო მეურნეობა 1957 წელს გარდაბნის რაიონში დაარსდა. 1996 წელს მას აღკვეთილის სტატუსი მიენიჭა. ასეთ დაცულ ტერიტორიაზე ნებადართულია ადამიანის ჩარევა ცხოველების ან მცენარეების სახეობების აღდგენის მიზნით. ამას გარდა, აღკვეთილში დაშვებულია ცალკეული განახლებადი ბუნებრივი რესურსის მოხმარებაც. დღეისთვის საქართველოში 11 აღკვეთილია, საერთო ფართობით 54,184 ჰა.

### 5. დაცული ლანდშაფტი

საქართველოში ერთი დაცული ლანდშაფტი ფუნქციონირებს - თუშეთის დაცული ლანდშაფტი (27,903 ჰა), რომელიც 2003 წელს შეიქმნა. იგეგმება დავით-გარეჯის დაცული ლანდშაფტის დაარსება (156, 400 ჰა). დაცულ ლანდშაფტში შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება და ტურიზმის განვითარება კონსერვაციის მიზნების ხელშესაწყობად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულება — დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემურ დაგეგმვას, დაცული ტერიტორიების დაარსებასა და მართვას. დეპარტამენტი ახორციელებს ზედამხედველობას დაცული ტერიტორიების მთელ სისტემაზე, რათა დაიცვას ცოცხალი ორგანიზმების თანაარსებობისთვის საჭირო ეკოსისტემები, ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები და ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კვლევებსა და ტურიზმის განვითარებას.


დეპარტამენტის შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: [www.dpa.gov.ge](http://www.dpa.gov.ge).



1. ბორჯომ-ხარაგ. ეროვნული პარკი
2. კოლხეთის ეროვნული პარკი
3. ბორჯომის ნაკრძალი
4. კინტრომის ნაკრძალი
5. ქობულეთის ნაკრძალი
6. აჯამეთის ნაკრძალი
7. სათაფლიის ნაკრძალი
8. ლიახვის ნაკრძალი
9. ყაზბეგის ნაკრძალი
10. თუშეთის ნაკრძალი
- 10ა. თუშეთის დაცული ლანდშაფტი
- 10ბ. თუშეთის ეროვნული პარკი

- 10გ. ილტოს ალკვეთილი
- 10დ. ბანარას ნაკრძალი
- 10ე. პაბანეურის ნაკრძალი
11. ლავოდეხის ნაკრძალი
- 11ა. ლავოდეხის ალკვეთილი
12. მარიამჯერის ნაკრძალი
13. ვამლოვანის ნაკრძალი
- 13ა. ვამლოვანის ეროვნული პარკი
- 13ბ. ალაზნის ქალის ბუნების ძეგლი
- 13გ. არწივის ხეობის ბუნების ძეგლი
- 13დ. ტახტი-თუფას ბუნების ძეგლი
14. საგურამოს ნაკრძალი

## საქართველოს დაცული ტერიტორიები



15. ალგეთის ნაკრძალი
16. ფსხუ-გუმისთის ნაკრძალი
17. რინის ნაკრძალი
18. ბიჭინთა-მიუსერის ნაკრძალი
19. კაცობურის ალკვეთილი
20. ქობულეთის ალკვეთილი
21. გარდაბნის ალკვეთილი
22. ყორღის ალკვეთილი
23. ივრის ალკვეთილი
24. ჭაჭუნას ალკვეთილი
25. წმინდის ალკვეთილი
26. ქცია-ტაბანაურის ალკვეთილი

27. თეირობის ალკვეთილი
28. მტკარალას ეროვნული პარკი
29. ჯავახეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორია
30. თბილისის გეგმარებითი დაცული ტერიტორია
31. სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორია
- 31ა. რაჭა-ლეჩხუმის გეგმარებითი დაცული ტერიტორია
32. დავით-გარეჯის გეგმარებითი დაცული ტერიტორია





## ვაშლიანის დაცული ტერიტორიები

ეროვნული ცენტრის მიერ დაცული ტერიტორიები

### ისტორია და გეოგრაფიული მდებარეობა

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთში, მდებარეობს ულამაზესი მხარე — ქიზიყი, რომელიც ისტორიულ წყაროებში პირველად კამბეჩოვნის სახელწოდებით ჩნდება და ჰერეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად არის მოხსენიებული. მაშინდელი კამბეჩოვნის მთავარი ქალაქი ხორნაბუჯია, რომელიც მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა შემოსევის შემდეგ კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქი ნელ-ნელა ქრება და დღევანდელ დღეს მის ძველ დიდებაზე მხოლოდ დაბა დედოფლისწყაროს მახლობლად, ციცაბო კლდეზე არნივის ბუდე-სავით ნამომართული ხორნაბუჯის ციხის ნანგრევებიღა მიუთითებს.

სახელწოდება ქიზიყი უფრო გვიანდელია და ის პირველად მე-15 საუკუნის წყაროებში გვხვდება. მაშინდელი ქიზიყი უკვე კახეთის სამეფოს

შემადგენელი ნაწილია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უბატონო მხარედ მოიხსენიება. ქიზიყელი გლეხები გათავისუფლებულები არიან ბატონყმური ვალდებულებისაგან და დანიშნული მოურავის საშუალებით პირდაპირ კახეთის მეფეებს ემორჩილებიან. ამ ისტორიულმა ვითარებამ ქიზიყელთა ხასიათის ჩამოყალიბებაში გადაწყვეტი რილი ითამაშა და ისინი თავისუფლებისმოყვარე, ლალ და ქვეყნის ერთგულ ხალხად მოუვლინა საქართველოს. შემთხვევითი როდია, რომ ქართლ-კახეთის უკანასკნელი გმირი მეფის — მუდამ მეომარი ერეკლე მეორის ჯარის ავანგარდში ყოველთვის ქიზიყელი გლეხები იდგნენ. ისინი პირველები ებმეოდნენ ბრძოლაში და პირველ დარტყმასაც ისინი იღებდნენ, როგორც თავად ქიზიყი იღებდა და იგერიებდა პირველ დარტყმებს სპარსელი დამპყრობ-

ხორნაბუჯის ციხე  
© თ. პოპიაშვილი



ლებისა თუ ლეკი მოთარეშებებისგან.

ერეკლე მეორის სახელთანაა დაკავშირებული მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქიზიყის დღევანდელი ცენტრის, საქარავნო გზაზე აშენებული მრავალეთნიკური სავაჭრო ქალაქის, სიღნაღის (სიტყვა „სიღნაღ“ თურქულია და თავშესაფარს ნიშნავს) დაარსება. თითქმის ხელუხლებლად შემორჩენილი, მთლიანად გალავანში ჩამჯდარი პატარა ქალაქი, საიდანაც ალაზნის ველის უღამაზესი ხედი იშლება, დღეს ათასობით ტურისტსა და დამთვალიერებელს იზიდავს.

დღევანდელი ქიზიყი ორ ადმინისტრაციულ ერთეულს — სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებს მიეკუთვნება. ეს ტერიტორია მხოლოდ კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებით მდიდარი

როდია. ქიზიყში არის ბუნების ისეთი ძეგლები, რომელთა მსგავსიც საქართველოს არცერთ კუთხეში არ გვხვდება და რომლებიც ჩვენი ქვეყნის ნამდვილ საგანძურს წარმოადგენენ.

სწორედ ისტორიულ ქიზიყში, დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთში, არის უნიკალური ადგილი, რომელსაც ვაშლოვანის ნაკრძალი ჰქვია. კახეთის ორ მთავარ მდინარეს, ორ მთავარ სასიცოცხლო წყაროს — იორსა და ალაზანს შორის მოქცეული ნაკრძალი, მისი მიმდებარე ტერიტორია, ბუნების რამდენიმე უნიკალური ძეგლი და ეროვნული პარკი — სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს.


**ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები მოიცავს:**

ვაშლოვანის ეროვნულ პარკს

ვაშლოვანის ნაკრძალს

არწივის ხეობის, ტახტი-თეფასა და ალაზნის ქალის ტყეების ბუნების ძეგლებს.

- ✓ თბილისი — დედოფლისწყარო — 130კმ.
- ✓ თბილისი — სიღნაღი — 110კმ.
- ✓ დედოფლისწყარო — კასრისწყალი — 36კმ.



საქართველოს  
სამშენებლო



არწივის ხეობა © გ. დარჩიაშვილი

“ხეობის ორივე მხარეს წამოჭიმული კირქვეული კონგლომერატები ფოთლოვან ტყესა და ძეძვის ბუჩქნარშია ჩაფლული”

## ბუნების ძეგლები

ბუნების იმ ძეგლთაგან, რომელთაც დაცული ტერიტორიების სტატუსი მიენიჭა, დაბა დედოფლისწყაროსთან ყველაზე ახლოს არწივის ხეობა მდებარეობს. იქ რომ მოხვდეთ, მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი რუსული სოფელი მაზოვკა უნდა გაიარო. სოფლის ერთსართულიანი სახლების თეთრად შეკირული კედლები და ლურჯი დარაბები კახეთისათვის ტრადიციული ორსართულიანი სახლების ფონზე მოულოდნელ დისონანსს ქმნის. ამ თავისებურად კოლორიტული დასახლების ისტორია 1803 წელს დედოფლისწყაროში რუსული სამხედრო შენაერთის დისლოცირებიდან დაიწყო. ქიზიყში ჩასახლებულ დაქირავებულ რუს რეკრუტებს მოგვიანებით დეკაბრისტთა აჯანყების მხარდამჭერი რუსი ოფიცრობის ნაწილიც


შეუერთეს. (მაზოვკის გარდა, ქიზიყში კიდევ არსებობს რამდენიმე რუსული დასახლება, რომლებშიც რელიგიური ნიშნით დევნილი სექტანტების „სტაროვერებისა“ და „მალაკნების“ შთამომავლები ცხოვრობენ).

სოფელ მაზოვკის ბოლოდან აუცილებლად შენიშნავთ კირქვეული წარმოშობის კლდეებს, მაგრამ მხოლოდ ახლოს მისვლისას აღმოაჩენთ, რომ ეს პატარა ხევის მიერ გაჭრილი ღრმა და ულამაზესი კანიონის შესასვლელია. ხეობის ორივე მხარეს წამოჭიმული კირქვეული კონგლომერატები ფოთლოვან ტყესა და ძეძვის ბუჩქნარშია ჩაფლული. გასაოცარია, რომ ბუნების ძეგლის ფართობის (100 ჰა) მიუხედავად, „არწივის ხეობაში“ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მაღალმთის, უდაბნოსა და ჭაობის მცენარეულობა გვხვდება.



ხეობის დამთვალეიერებელს აქ საშუალება აქვს იხილოს ენდემური და გადაშენების გზაზე მყოფი მცენარეების ისეთი იშვიათი სახეობები, როგორცაა: კახეთის მაჩიტა (*Campanula kachethica*) — კირქვის კლდეებზე ყოველგვარი ნიადაგის გარეშე ამოსული მწვანედ მოხასხასე მცენარე, რომელიც ძალიან ლამაზად, თეთრად ყვავილობს და ნიწვოვანი ბუჩქი ტუია (*Platyclusus (Thuja) orientalis*), რომელიც საქართველოს არცერთ კუთხეში არ გვხვდება. არემარეს საოცრად მიმზიდველს ხდის ყვავილების მრავალფეროვნება, რომელთა შორის 7 სახეობის ორქვიდეაცაა. არწივის ხეობიდან ალაზნის ველისა და კახეთის კავკასიონის ფანტასტიკური ხედი იშლება.

ეს ვინრო და ღრმა კანიონი იდეალურ ადგილს წარმოადგენს ფრინველებზე დაკვირვებისთვის. ამ პატარა ტერიტორიაზე ფრინველთა



კახეთის მაჩიტა © ა. კოდიაშვილი

სამოცდაათამდე სახეობის ნახვა შეიძლება. კირქვის ციცაბო კედლები ორბების (*Gyps fulvus*) საბუდარს წარმოადგენს. აქვე სხვა მტაცებელ ფრინველებს — ფასკუნჯს (*Neophron percnopterus*), გველიჭამია არწივს (*Circaetus gallicus*), შავარდენსა (*Falco peregrinus*) და გაგაზს (*Falco cherrug*) შეხვდებით. ეს უკანასკნელი საქართველოში გა-



შავი ყარყატი ბუდეზე © ა. კოდიაშვილი




ვრცელეულ მტაცებელ ფრინველთა შორის განსაკუთრებულად ძვირფას და ბუნებრივად იშვიათ სახეობადაა მიჩნეული. ამავე ხეობაში ბუდობს საქართველოში ძალზედ იშვიათი შავი ყარყატი, იგივე იშხვარი (*Ciconia nigra*).

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში შესული ბუნების სხვა სასწაული — ტახტი-თეფა — მოშორებულია ეროვნულ პარკსა და ვაშლოვანის ნაკრძალს და დალის მთის მახლობლად მდებარეობს. არაორგანული ბუნების ეს ძეგლი აბსოლუტურად განსხვავებულია ყველაფრისგან, რისი ნახვაც კი საქართველოში შეიძლება. ამ ტალახოვანი ვულკანის მნახველს ისეთი შეგრძნე-

ბა ეუფლება, რომ არაფრისაა მსგავსი, არამედ სხვა პლანეტაზე მოხვდა. ვულკანი მოთეთრო, ბრტყელთხემიანი ბორცვია, რომელიც გამუდმებით ფეთქავს და თუხთუხებს. სასუნთქებიდან და კრატერებიდან, რომელთაგან ყველაზე დიდის დიამეტრი 3,3-4 მეტრია, მუდმივად ინთხევა და ჟონავს სამკურნალო თვისებების მქონე აირი და ტალახი, რომლის ბლანტი მასა შემდეგ ხევში მიედინება.

მაგრამ ქიზიყის ბუნების მთავარი საოცრება და განძი მკაცრად დაცული ვაშლოვანის ნაკრძალი და მისი ლოგიკური გაგრძელება — 2003 წელს შექმნილი ვაშლოვანის ეროვნული პარკია.



ტახტი-თეფა — ტალახოვანი ვულკანი  
© ა. კოდიაშვილი

© გ.გუბანიძე



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



საქართველოს  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



## ვაშლოვანის ნაკრძალი და იროვნული პარკი

თუკი რაიონული ცენტრიდან, დედოფლისწყაროდან, გზას აღმოსავლეთით გავაგრძელებთ, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით გავემართებით, გვერდით მოვიტოვებთ მე-19 საუკუნეში აღმოსავლეთ კავკასიონის კალთებიდან ჩამოსახლებული ფშაველებით, ხევსურებითა და მთიულებით დასახლებულ სამ სოფელს — ზემო ქედს, არხილოსკალოსა და ქვემო ქედს, გზა ერთფეროვან და დაცემულ შირაქის ველზე ჩაკარგულ პატარა სოფელ კასრისწყალში მიგვიყვანს. სოფელი ძირითადად თუშებითაა დასახლებული, არის აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობაც. აქაურები მეტწილად მეცხოველეობითა და მეცხოველეობისთვის დამხმარე საკვების დამზადებით არიან დაკავებულნი. ისევე, როგორც შირაქის ყველა სოფელში, აქაც ჭირს ნყალი; პეიზაჟი კვლავ ერთფეროვანი და უსიცოცხლოა — ველები და გლუვი ბორცვები, იშვიათად მოჰკრავთ თვალს ხესა თუ

ძეძვის ბუჩქნარს და მუხარაჯით, ვერაფრით წარმოიდგენთ, რომ აქედან სულ რაღაც ცხრა კილომეტრში პატარა სამოთხე, სიცოცხლის ნამდვილი ოაზისი იწყება.

კასრისწყალი ვაშლოვანის ნაკრძალის ყველაზე ახლომდებარე დასახლებული პუნქტია. ქართველ მთიელთაგან ერთადერთი მომთაბარე ხალხი — თუშები სწორედ აქ აზამთრებენ თავიანთ ცხვრის ფარებს. ზაფხულის მანძილზე გაუკაცურებული შირაქისა და ელდარის ველები ოქტომბერ-ნოემბერში ცოცხლდება და თუშების ცხვარს მთელი ზამთრისა და გაზაფხულის მანძილზე კვებავს. თუში მწყემსების საზამთრო ბინები და საძოვრები თითქმის ნაკრძალამდე მიდის, ხოლო ეროვნულ პარკად გამოცხადების შემდეგ ბინათა ნაწილი ტრადიციული გამოყენების ზონის სტატუსით პარკის საზღვრებში მოექცა.

დაუზინყარია ვაშლოვანის ნახვით გამონეული პირველი შთაბეჭდილება. თუ იქ „ტრადიციული“ სამანქანო გზით, კასრისწყლის გავლით მოხვდით, ნაკრძალს მანამ ვერ

ვაშლოვანის ქვაბული  
© ა. კოდიაშვილი





© გ. ბუხაიძე



დაინახავთ, სანამ მასში არ შეხვალთ. ზეგანი მკვეთრად მთავრდება 50-70 მეტრის სიმაღლის ფლატეებით. ეს ნაკრძალის ბუნებრივი საზღვარია და ამ საზღვართან მისულს თვალწინ საკმლის ხისა და ღვიის ნათელი ტყით შემოსილი ვაშლოვანის ქვაბული და მთელ მის სიგრძეზე გადაჭიმული ორი პარალელური ქედი — დიდი და პატარა ჩრდილი წარმოგედგებათ. სავანა, პატარა აფრიკა... გამორიცხულია, რომ ვაშლოვანის ქვაბულის პირველად მნახველს ეს ასოციაცია არ გაგიჩნდეს. მაგრამ ეს კავკასია და საქართველოა.

შემოდგომის ვაშლოვანი ჯერ კიდევ მზითა და სითბოთია სავსე, ხეებს ჯერ კიდევ შერჩენია გადაყვითლებული ფოთლები, ხოლო მარადმწვანე ღვიების გვერდით წითლად აფეთქებულია თრიმლის ბუჩქები. მაშინ, როცა აღმოსავლეთ კავკასიონზე ჯერ კიდევ ზამთრის თოვლი დევს, ვაშლოვანში უკვე სიმწვანე და გაზაფხულია, ახალი დილა

ათასობით ჩიტის ვალობით იწყება, ხოლო მიწიდან ახალ ბალახთან ერთად ულამაზესი ენდემური ქართული ზამბახები (*Iris iberica*) და ტიტეზია (*Tulipa eichleri*) ამოხეთქილი.

ნაკრძალის ტერიტორია (საერთო ფართობი — 10 142 ჰექტარი) მოიცავს პანტიშარა ვაშლოვანის მასივს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 300-600 მეტრს შორის მერყეობს. ნაკრძალს აღმოსავლეთიდან ყუმუროს ხევი, დასავლეთიდან კი — მამაჩაისა და „ემშაკის“ ხეობები ესაზღვრება. ჩრდილოეთი საზღვარი მასივის ჩრდილო მთაგრეხილზე გადის. სამხრეთ საზღვარი კი — დიდი ჩრდილის ქედის მთისწინეთის უფსკრულებითა და პანტიშარას მთების სამხრეთ ფერდობებითაა წარმოდგენილი.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი 1935 წელს შეიქმნა ორი დიდი ქართველი მეცნიერისა და ბუნების ქომავის — ნიკო კეცხოველისა და ვასილ გულისაშვილის ინიციატი-




ველის იორდასალამი © ვ. დარჩიაშვილი

ვით. თავდაპირველად ნაკრძალი ფლორისტული იყო და არიდული ნათელი ტყის დაცვასა და შესწავლას ისახავდა მიზნად. უიშვიათესი საკმლის ხეები (*Pistacia mutica*), რომელსაც ხალხი ხშირად აზერბაიჯანული სახელით — „საღლაღაჯი“ მოიხსენიებს, აქ ერთმანეთისგან 15-20 მეტრის დაშორებით ბუნებრივად განლაგებულან. ამგვარი განლაგება და თვითონ საკმლის ხის ვაშლის ხესთან ბუნებრივი მსგავსება ხეხილის ბალთან ასოციაციას იწვევს და გეოგრაფიული სახელი „ვაშლოვანიც“ აქედან უნდა მოდიოდეს. ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ეროზიული შთენილები და თიხის კარსტები ჰარმონიულად გადადის ღვიის კორომებში, საკმლის ხის ტყეებსა და ღვიიან-საკმლისხიან შერეულ არიდულ ტყეებში. ადრე სავანის მსგავსი ეს ნათელი ტყეებიც საძოვრებად ყოფილა გამოყენებული. ვაშლოვანის ქვაბულის ტერი-

ტორიაზე დაკვირვებულნი ვიქნებით დღესაც ადვილად შეამჩნევს სარეველა ბალახის პატარა კუნძულებს, რომლებიც საკმლის ხეებსა და ღვიებს შორის მეცხვარეთა და მეფოგეთა ძველ ნაბინავრებზეა ამოსული. ბუნება ძნელად, მაგრამ მაინც იშუშებს ადამიანის მიერ მიყენებულ იარებს. სარეველას კუნძულები ნელ-ნელა პატარავდება და ქრება. ნათელი ტყე თავის პირველად სახეს იბრუნებს. შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი ნაბინავრები ვაშლოვანზე ადამიანის ზემოქმედების ერთადერთი ხილული კვალია. ნაკრძალში, მის ნათელ ტყეებში, მშრალ ხეებსა თუ ალესილების სახელით ცნობილ ციცაბო უფესკრულებსა და ფლატეებში, მნახველს სწორედ სიველურე და ხელთუქმნელობა იზიდავს. ამ პირველქმნილობის შენარჩუნება მოხერხდა ტერიტორიაზე, რომელიც საძოვრებითაა გარშემორტყმული



ქართული ზამბახი © ვ. ჩერქეზიშვილი



საკმლის ხე © ა. კოდიაშვილი

და, შესაბამისად, მუდმივად განიცდის ადამიანისა და შინაური პირუტყვის ზემოქმედებას. ვაშლოვანის გარშემო ხომ ყოველწლიურად დაახლოებით 40 000 ცხვარი იზამთრებს. ამასთანავე, ნაკრძალის მომიჯნავე ტერიტორია, რომელიც დღეს უკვე ეროვნული პარკის საზღვრებში მოექცა, ზამთრის საძოვრების გარდა, ყოველთვის ადგილობრივ და ჩამოსულ მონადირეთა სა-

ყვარელი სანადირო ადგილი იყო. ძირითადი სამიზნე კაკაბი და გარეული ღორი იყო, ნადირობდნენ ხოხობსა და დათვზეც. მდინარე ალაზანზე კი ველური, ბრაკონიერული მეთოდებით (ბადეებით, აფეთქებით, ელექტროდენით) მოიპოვებდნენ თევზს. ბრაკონიერები უშუალოდ ნაკრძალშიც აღწევდნენ, მაგრამ ვაშლოვანის შენარჩუნება მაინც მოხერხდა.





## ფლორა და ფაუნა — იპოვითი სასაოჯახო

დასაცავი და გადასარჩენი ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში მართლაც ბევრი რამ არის. საქართველოში არ არსებობს მეორე ადგილი, სადაც ხმელეთის ასეთ მცირე ფართობზე მცენარეული ტიპების ესოდენ სწრაფი ცვლა შეინიშნებოდა. სტეპები და ბუჩქნარები, მთისწინეთის უდაბნოები ციცაბო ხეებით გადადიან ნათელ ტყეებსა და ალაზნის ქალებში. თითოეულ ამ ადგილს თავისი ბინადარი ჰყავს, თითოეული მათგანი სიცოცხლითაა სავსე. თვალი პირველ რიგში ფრთოსან არსებებს ხედავს, ხოლო ცხოველები, განსაკუთრებით კი — მსხვილი ძუძუმწოვრები — შეფარული ცხოვრების წესით ცხოვრობენ და მათთან შეხვედრა უფრო ძნელია, ვიდრე ათასობით ფრინველთან, რომელთაგანაც ზოგისთვის ვაშლოვანი და მისი შემო-



ტარბები © ა. კოდიაშვილი  
ზაფხულში წვიმის შედეგად წარმოქმნილ გუბებთან მრავალი ფრინველი იყრის თავს.

გარენი სამშობლოა, ზოგისთვის კი — გამოსაზამთრებელი ადგილი და დროებითი თავშესაფარი.

შავ-თეთრად დანინკლული შოშიებისა (*Sturnus vulgaris*) და ვარდისფერი ტარბების (*Sturnus roseus*) ათასიანი გუნდები დასტრიალებენ შირაქის ველებს. ერთად სხდებიან

შოშიებისა და ვარდისფერი ტარბების ათასიანი გუნდები დასტრიალებენ თავს შირაქის ველებს

© გ. დარჩიაშვილი





ველის კაკაჩა © გ. დარჩიაშვილი

და ხმაურით ფრინდებიან მიწიდან. ქვიშის ბუჩქებზე ბელურები (*Passer...*), მელორღიები (*Oenanthe...*), ჩიტბატონები (*Carduelis carduelis*) და სკვინჩები (*Fringilla coelebs*) დასკუპებულან. ზაფხულში, როდესაც აქ აუტანელი სიცხე ისადგურებს, თითოეული ბუჩქისა და თითოეული ქვის ჩრდილი გამოყენებული აქვთ პატარა ჩიტებს და შუადღის მცხუნვარე მზეს გარიდებულენ იქ აფარებენ თავს. ზამთრობით შირაქისა და ელდარის ველეებზე ფრთხილი და იშვიათი სარსარაკების (*Tetrax tetrax*) გუნდების ხილვა შეიძლება. იშვიათად, მაგრამ პარკის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩნდებიან სავათები (*Otis tarda*) — უზარმაზარი (მამრის წონა

25 კილოგრამს აღწევს) და სალოხან მფრთხალი ფრინველები.

საკვების ძიებაში სტეპებს ველის კაკაჩები (*Buteo rufinus*) და ჩვეულებრივი კირკიტები (*Falco tinnunculus*) დასტრიალებენ. პატარა მინდვრის თავგები და უფრო მსხვილი, ცნობისმოყვარე მექვიშიები ადრე თუ გვიან ამ მტაცებლების მსხვერპლნი ხდებიან. აქვე შეიძლება ბექობის არწივის (*Aquila heliaca*) ნახვა. ორბები და სვავები (*Aegypius monachus*), ვაშლოვანის მკვიდრი მაცხოვრებლები, ალესილების ციცაბო უფსკრულეებზე მონყობილ ბუდეებს ტოვებენ და საძოვრებზე დალუპული ცხვრის ან საქონლის ნარჩენებს დაედებენ. თუკი ორბი ჩვენში კიდევ ბევრგან (ძირითადად კავკასიონზე) ბუდობს, სვავისთვის შირაქის ნახევარუდაბნოები საქართველოში ერთადერთ საბუდარ ადგილს წარმოადგენს. სამწუხაროდ, თუში მწყემსები ვერაფრით იჯერებენ, რომ ეს უზარმაზარი ფრინველები მხოლოდ ლემით იკვებებიან, და ცხვრისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენენ და მათთვის ნამდვილი ბრძოლა აქვთ გამოცხადებული. ორბები და სვავები ყველაზე ხშირად მათი მტაცებლობისა და სისხლისმსმელობის შესახებ გავრცელებულ მითს ეწირებიან.

ერთმანეთის მონაცვლე, დახრა-



წითელკუდა მექვიშია © გ. დარჩიაშვილი

ცნობისმოყვარე მექვიშიები ადრე თუ გვიან მტაცებლების მსხვერპლნი ხდებიან



ორბი © ა. კოდიაშვილი

მული ციცაბო ფერდობები, უფსკრულები და მშრალი ხევები კაკების (*Alectoris chukar*) საყვარელი ადგილია. ამ თითქმის ტიტველ, თითქოს უსასრულო და სხვადასხვა ფორმის ბორცვებში კაკების კაკანი მუდმივად ისმის. ამ სწრაფი, გუნდებად მაცხოვრებელი, ლამაზი ფრინველის დანახვა საკმაოდ ძნელია. კაკბის რუხი სხეული იდეალურად ეხამება გარემოს, ხოლო ღონიერი და სწრაფი წითელი ფეხები ფრინველს არაერთგვაროვან გარემოში სწრაფად გადაადგილების საშუალებას აძლევს. დამფთხალი კაკბები ერთ გუნდად, ხმაურით ფრინდებიან და თუ ისე მოხდა, რომ განგამის დროს გუნდი დაიშალა, თითოეული ფრინველი კაკბით ამცნობს დანარჩენებს თავის ადგილსამყოფელს. ეს ლამაზი გადაძახილი მანამ გრძელდება, სანამ გუნდი ისევ ერთად არ მოიყრის თავს.

ნაკრძალში იშვიათად თუ შეხვდებით დურაჯს (*Francolinus francoli-*

*nus*), თუმცა შირაქის სხვა დაცულ ტერიტორიაზე — ჭაჭუნის ალკვეთილში — ამ ფრინველის საკმაოდ დიდი პოპულაცია არსებობს. ძალიან იშვიათად, მაგრამ პარკის ტერიტორიაზე მაინც შესაძლებელია ვნოლების (*Perdix perdix*) გუნდის ნახვა.

ვაშლოვანის ციცაბო თიხის ფლატეები ქალაქის მერცხლების (*Delichon urbica*) საბუდარია. აქ მათ მთელი ქალაქები აქვთ მოწყობილი. თიხითა და სხვადასხვა მოზიდული მასალით გულმოდგინედ აშენებულ ბუდეებს მერცხლები ყოველ გაზაფხულს შთამომავლობის გამოსაყვანად და დასაფრთიანებლად უბრუნდებიან.

ვაშლოვანში პატარა ფრინველთა სხვა კოლონიების ნახვაც შეიძლება. მშრალი ხევების ნაპირებზე, მიწის ვერტიკალურ კედლებში გაკეთებული პატარა სოროები ნაირფერი კვირიონის (*Merops apiaster*) სამყოფელია. ამ სოროებში იჩეკებიან პატარა, უსუსური ბარტყები. კვირი-




ქართული  
მღვწეობის  
საზოგადოებრივი  
კავშირები

ონები მწერებზე ვირტუოზი მონადირენი არიან. ამ პატარა ჩიტის შესამოსად ბუნებას არცერთი ფერი არ დაუშურებია, ჰაერში ნადირობისას ურთულესი ილეთების საკეთებლად კი ყოვლად განსაკუთრებული ფორმის, ჩამოქნილი ფრთები მიუცია... საშოვარზე გამოსული კვირიონთა გუნდის ხმა ბუნების მოყვარულს არცერთ სხვა ხმაში არ ერევა და გულს სიხარულით უვსებს.

კვირიონთა სანადირო ობიექტების — მწერების ნაკლებობას ვაშლოვანი ნამდვილად არ განიცდის. ისევე როგორც ყველგან მსოფლიოში, მწერები დანარჩენ ცოცხალ არსებებთან შედარებით აქაც ყველაზე მრავლად არიან. მხოლოდ ნაკრძალის ტერიტორიაზე 700 სახეობის მწერია დაფიქსირებული. ნაირფერ და ნაირხმოვან მწერთა სიმრავლე აქაურ ცხელ შუადღეს გუგუნით ავსებს და ვაშლოვანის სტუმრობით მიღებულ შთაბეჭდილებას კიდევ ერთ დაუვინყარ შტრისს მატებს.


თუკი შუადღისით ჩრიჭინებისა და



გნოლი © გ. დარჩიაშვილი

კალიების გუგუნია, დილა ყოველთვის ჩიტების ჟრიაშულით იწყება. ღვინა-საკმლისხიან კორომებში პატარა წიწკანებისა (*Parus caeruleus*) და შავთავა გრატების (*Emberiza melanocephala*), შავშუბლა ლაჟოების (*Lanius minor*), შაშვებისა (*Turdus merula*) და ჩხართვების (*Turdus viscivorus*) ხილვა და მათი გალობით დატკობა შეიძლება. ნათელ ტყეებში ყვითელი მოლალურები (*Oriolus oriolus*) და ლურჯ-მწვანე ყაყაპებიც (*Coracias garrulus*) აფარებენ თავს. ზამთარში ალესილების ფრიალო კედლებზე კავკასიონიდან ყინვებს გამორიდებული წითელფრთიანი კლდეცოცები (*Tichodroma muraria*) დახტიან საკვების ძიებაში. ეს პატარა, მაგრამ საოცრად ლამაზი და დასამახსოვრებელი ჩიტი, რომელსაც აღმოსავლეთ კავკასიონის მთიელები „კლდისცეცხლასაც“ უწოდებენ, ვაშლოვანში თავისი სტუმრობით მართლაც რომ აცოცხლებს ზამთრის ნაცრისფერ გარემოსა და ალესილების თიხის რუხ ციცაბოებს.

ვაშლოვანს მთელი წლის მანძილზე დასტრიალებენ მუდამ დაბალ სიმაღლეზე მფრინავი და მსხვერპლის ძიებაში მიწას ჩამტერებული ძელქორები (*Circus...*). ისინი დასტრიალებენ ვაშლოვანის ნათელ ტყეებს, ალესილებს, ძეძვნარებსა



კვირიონი © გ. დარჩიაშვილი

და კონახურის ბუჩქნარებს, ავშან-  
მოდებულ სტეპებსა და ალაზნის  
პირის ქალებსაც, რომლებიც დანარ-  
ჩენი ვაშლოვანისგან სრულიად გან-  
სხვავებული და არანაკლებ საინ-  
ტერესონი არიან. ამიტომ ორმაგად  
სასიამოვნოა, რომ ეროვნული პარ-  
კის ტერიტორია მდინარე ალაზნამ-  
დე „გაიჭიმა“ და საქართველოს  
ბუნების ორი პატარა სასწაული —  
ჯუმას ყურე და მიჯნის ყურე პარკის  
ფარგლებში მოხვდა.

ნაკრძალიდან ალაზნისპირებში  
მოსახვედრად ჯერ ვაშლოვანის  
ერთადერთი ცოცხალი ხევი — ლე-  
კისწყალი უნდა გაიაროთ. აქაურ  
ყველა დანარჩენ ხევს, ნაკადულსა  
და მაისის წვიმების დროს უცბად  
გაჩენილ მდინარეებს მალევე აშ-  
რობს ზაფხულის გვალვა და მხო-  
ლოდ ლეკისწყლის სახელით ცნო-  
ბილი პატარა ხევი ინარჩუნებს  
წყალს თავის კალაპოტში მთელი  
წლის მანძილზე. ლეკისწყლის მერე  
გზა ჩილოეთხევის ღვივანი ბორცვე-  
ბითა და ხევებით ნელ-ნელა დაბლა  
ეშვება. ბოლოს, ერთფეროვანი და  
თითქოს უსასრულო ბორცვები  
მდორედ და მღვრიედ მომდინარი  
ალაზნის გასწვრივ კედელივით აღ-

შავთავა გრატა  
© ვ. დარჩიაშვილი

ეროვნული  
გამზაობის



მართულ ლეშამბოიან ქალის ტყე-  
სთან მოულოდნელად წყდება. ვაშ-  
ლოვანისთვის უჩვეულოდ მაღალი  
ქალის მუხის, ვერხვებისა და  
იფნების ძირებში ამოსული ლერწამი  
და ეკალ-ბარდი მდინარესთან მია-  
ხლოვებას თითქმის შეუძლებელს  
ხდის. მდინარის მახლობლად ველუ-  
რი ბროწეულის ხის ხელუხლებელ

მდ. ალაზნის ვალმა აზერბაიჯანი მოჩანს  
© ვ. ბუხაიძე





კაკაბი © გ. დარჩიაშვილი

კორომებსაც შეიძლება წაანყდეთ. ხოლო ჯუმასყურის სახელით ცნობილ ქალაში, საქართველოში მხოლოდ აქ, ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ველური კაკლის ხეები იზრდება.

ამ ქალებსაც თავისი ფრთოსანი ბინადარი ჰყავს: უღალი ბულბულიდან (*Cercotrichas galactotes*) დაწყებული, საქართველოს ფაუნის მშვენიებით — კოლხური ხოხბით (*Phasianus colchicus*) დამთავრებული. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ბუჩქნარიდან ფრთების დგაფუნით, ბრდღვიალ-ბრდღვიალით ამოსული მამალი ხოხობი, ეს სანახაობა არასოდეს დაავიწყდება. ინტენსიურმა და უკონტროლო ნადირობამ ჩვენში ამ ფრინველის პოპულაცია სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა, ხოლო მისი ნახვით განცდილი სიამოვნება სულ უფრო იშვიათი გახდა, მაგრამ ალაზნის ქალა ჯერ კიდევ მდიდარია ხოხბით. ბრაკონიერობის ველური მეთოდების მიუხედავად, ალაზანში კვლავ მრავლად არის ლოქო (*Silurus glanis*), კობრი (*Cyprinus carpio*), ფარგა (*Lucioperca lucioperca*), შამაია (*Chalcalburnus chalcoides*), მდინარის ღორჯო (*Gobius cephalarges*), ქანარი (*Barbus capito*) და კავკასიური ქა-

შაპი (*Leuciscus cephalus*), მდინარეში სულ 16 სახეობის თევზობიერობა.

ვაშლოვანის ეროვნული პარკისა და ნაკრძალის ბინადარი ცხოველების გაცნობისთვის ალაზნის პირები საუკეთესო ადგილია. თუ ჯუნგლებით გაუვალ ქალის ტყის ზოლს გაარღვევთ და მდინარის ნაპირზე გახვალთ, იქ, სველ სილაზე, როგორც გადაშლილ წიგნში, ნაიკითხავთ წინა ლამის ამბებს, იმას, რაც დღისით ადამიანის თვალისთვის დაფარულია. სილაზე ლელიანის კატის (*Felis chaus*), ნავისა (*Lutra lutra*) და საქართველოში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში შემოყვანილი ენოტის (*Procion lotor*) ნაკვალევი აღბეჭდილია. გათელილი და ნაჯევი ლელიანი კი შეიძლება გარეული ღორის (*Sus scrofa*) ნაწოლი იყოს.

ვაშლოვანში სულ 46 სახეობის ძუძუმწოვარა ცხოველი ბინადრობს. მათგან ზოგი შედარებით იოლი სანახავია, ზოგი უფრო შეფარულ ცხოვრების წესს ამჯობინებს. ზოგი ცხოველი იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომია, ზოგი კი — უბრალოდ, უიშვიათესი. აქ კურდღელი (*Lepus europaeus*) ყოველი ბუჩქის ძირას შეიძლება აღმოაჩინოთ, მელას (*Vulpes vulpes*) პრაქტიკულად ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვედებით, ალაზნის ქალებში ყოველ



ლელიანის კატა — ფრთხილი და მოხერხებული მტაცებელი. ამჯერად მისი მსხვერპლი მელოტა გახდა. © გ. დარჩიაშვილი



წინააზიური ლეოპარდი — ვაშლოვანის ეროვნული პარკის სიამაყე  
© NACRES




ლამით ისმის ტურების (*Canis aureus*) გადაძახილი, ალესილების ხევ-ხუვებსა და შირაქის მინდვრებზე ლამით სანადიროდ გამოსული მგლების (*Canis lupus*) ყმუილის გაგონებაც ჩვეულებრივი ამბავია, სამაგიეროდ — ფოცხვერისა და მაჩვზღარბას (*Hystrix indicus*) ნახვა და მათზე დაკვირვება, ამ ცხოველების ცხოვრების „მორცხვი“ ნირიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია. ეს ორივე ცხოველი ვაშლოვანის მკვიდრი ბინადარია. ნაკრძალისა და პარკის ტერიტორიაზე ბინადრობს მურა დათვიც (*Ursus arctos*). ნახევარუდაბნოში ამ უზარმაზარი ცხოველის არსებობა, ერთი შეხედვით, უჩვეულო ჩანს, მაგრამ ამ ბუჩქნარებსა და ხევებში დათვს სამალავი საკმაოდ აქვს, ხოლო საკმლის ხისა და ღვიის ნაყოფი მისთვის მშვენიერ საკვებს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე ვაშლოვანში აღარავის დაუფიქსირებია ზოლებიანი აფთა-

რი (*Hyaena hyaena*), რომელიც ადრე შირაქის ჩვეული ბინადარი იყო. მეცნიერები ჯერ კიდევ არ კარგავენ მისი აღმოჩენის იმედს. თუკი საქართველოში არის ადგილი, სადაც „ზოლებიანი სფინქსი“ შეიძლება კიდევ გამოჩნდეს, ეს ადგილი სწორედ ვაშლოვანია.

თავისი ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით ეს ადგილები ყოველთვის იზიდავდა მკვლევარ-ნატურალისტებს. ასეა დღემდე. ზოო-



მურა დათვი  
© NACRES



გარეული ღორი © NACRES

ლოგები ვაშლოვანში რეგულარულად აწყობენ მეცნიერულ ექსპედიციებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის დროს მოხდა აღმოჩენა, რომელიც ბოლო წლების ნამდვილ სენსაციად იქცა.

2003 წლის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაციის - საფრთხეში მყოფი სახეობების კონსერვაციის ცენტრის „ნოეს კიდობანის“ წევრებმა, ახალგაზრდა მეცნიერებმა — ბეჟან ლორთქიფანიძემ და გიორგი დარჩიაშვილმა, აღმოაჩინეს კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლის კვალი, რომელიც ფოცხვერისთვის უჩვეულოდ დიდი ეჩვენათ. მაშინვე გაჩნდა იმედი და ეჭვი, რომ კვალი წინააზიურ ლეოპარდს (*Panthera pardus*) ეკუთვნოდა. მეცნიერთათვის უკვე ეს ეჭვიც ძალიან ამაღლებელი იყო. საქართველოში ხომ უკანასკნელი ლეოპარდი საგურამოს მახლობლად 50 წლის წინ ნახეს და

მას შემდეგ, ზოგიერთ მთიან რეგიონში ადგილობრივთა წყვილი და საკმაოდ ბუნდოვანი მონათხრობის გარდა, ამ ცხოველის არსებობის რეალური საბუთი აღარ დაფიქსირებულა. მომდევნო კვირებში საეჭვო კვალი კიდევ რამდენჯერმე ნახეს. ცხოველის სავარაუდო მარშრუტებზე მეცნიერებმა ფოტოხაფანგები დააყენეს, ხოლო კვალის თაბამირის ანაბეჭდი ლეოპარდზე მომუშავე უცხოელ კოლეგებს გაუგზავნეს. ფოტოხაფანგის მიერ გადაღებული ყოველი ფირის თბილისში ჩამოტანასა და გამჟღავნებას წინ დიდი ღელვა და მოლოდინი უძლოდა. ფოტომახეში კი რიგრიგობით ებმებოდნენ გარეული ღორები, მგლები,



ფოცხვერი © NACRES

დათვები და ნაკრძალში მალვით შემოპარული ბრაკონიერები... ამასობაში უცხოეთიდან მოვიდა დასტურიც, რომ კვალი ნამდვილად ლეოპარდს ეკუთვნოდა, ხოლო 2004 წლის 11 აპრილს ფოტოხაფანგმა ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე მამრი ლეოპარდის ორი შესანიშნავი სურათი გადაიღო.

მას მერე სამი წელი გავიდა. ლეოპარდი კი ისევ ვაშლოვანის ნაკრძალის ტერიტორიაზე ცხოვრობს. საკვებად იყენებს ყველაფერს, რის



მგელი © NACRES



მონადირეებასაც ახერხებს. ეს კი დათვისა და ზრდასრული ტახის გარდა, ვაშლოვანის მთელი ფაუნაა — გარეული ღორის გოჭით, მაჩვი-ზღარბითა და კურდღლით დაწყებული და თვით მგლით დამთავრებული. მის კვალს ისევე ხშირად ხვდებიან მეცნიერები და ნაკრძალის თანამშრომლები. საკუთარი თვალთა ის ჯერ არავის უხილავს, ფოტოხაფანგებმა კი ის უკვე ცხრაჯერ დააფიქსირეს. ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სხვა ლეოპარდის კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა, მაგრამ რადგან ხვადი ნაკრძალში დარჩა და არსად გადახვენილა, მეცნიერები იმედოვნებენ, რომ სადღაც ახლო-მახლო (შეიძლება, მეზობელ აზერბაიჯანშიც) ბინადრობს მდედრი ლეოპარდიც და, შესაძლოა, იგი უკვე ვაშლოვნელი ჯიქის შეილების დედაც იყოს.

როდესაც ვაშლოვანსა და მის შემოგარენს ათვალიერებ, როდესაც მის ბიომრავალფეროვნებაზე ფიქრობ, არ შეიძლება გულში ხინჯად არ შეგეპაროს უკმარისობის გრძნობა. აქაურობას სრულფასოვნებისთვის ბალახისმჭამელი ჩლიქოსანი ნამდვილად აკლია. როგორც საქართველოს ფოთლოვანი ტყეა წარმოუდგენელი ირმის გარეშე, როგორც ალპური იალალებია ცარიელი არჩვის, ხოლო მიუვალი კლდეები სრულიად




2004 წლის 11 აპრილიდან დღემდე ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ფოტოხაფანგებმა ლეოპარდი 9-ჯერ დააფიქსირა

დაობლებულია ჯიხვის გარეშე, აქაურ სტეპებსა და მინდვრებს ძალზედ აკლია გრაციოზული და მსუბუქი ქურციკი, იგივე ჯეირანი (*Gazella subgutturosa*). ქურციკის ჯოგების ნახვა გასული საუკუნის 60-იან წლებამდე შირაქში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ადგილები, რომლებზეც ადრე ჯეირნები ლალობდნენ, ახლა ცხვრის მიერ არის გადაძოვილი. ქურციკის გაქრობას, ნადირობასთან ერთად, ჭარბმა ძოვებამაც შეუწყო ხელი. ფრთხილი და სწრაფი ქურციკი გაშლილი, ტიტველი ადგილების ბინადარია, ამიტომ მას სამალავად არც ტყე აქვს და არც კლდის მიუვალი სიმაგრეები. ტექნიკურმა პროგრესმა და ბრაკონიერების მოტორიზებული საშუალებებით აღჭურვამ ჯეირანი ძალიან დაუცველი



ჯეირნები შირვანის ნაკრძალში (აზერბაიჯანი) © გ. დარჩიაშვილი



ხმელთაშუა ზღვის კუ  
© გ. დარჩიაშვილი

გახადა, ცხვრის ფარებმა კი საბოლოოდ განდევნა შირაქიდან. დღეს უკვე გაჩნდა იმედი, რომ ქურციკი ისევ დაბრუნდება ვაშლოვანი და მის დაბრუნებას თავად ადამიანი შეუწყობს ხელს.

ეროვნული პარკის განვითარების პროგრამამ ვაშლოვანის ნაკრძალის თანამშრომლებისა და ქართველი ბიოლოგების დიდი ხნის ოცნება რეალობად აქცია. უახლოეს მომავალში აზერბაიჯანიდან, შირვანის ნაკრძალიდან, სადაც კასპიის ზღვისპირა სტეპებში თავისუფლად დანავარდობს 6000-მდე ჯეირანი, ამ ცხოველების ვაშლოვანის ეროვნულ პარკში შემოყვანა იგეგმება. ბულამოედანი — ადგილი, სადაც ქურციკები უნდა გაუშვან, გეგმაზომიერად თავისუფლდება მწყემსების ბინებისაგან. ქურციკი ისევ გაჩნდება შირაქში და შეძლებისდაგვარად, დაცულიც იქნება, მაგრამ ამ ულამაზესი ცხოველის შემდგომი ბედი მაინც რიგითი ადამიანების გონიერებასა და მათ კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

როდესაც ვაშლოვანის ფაუნაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ ქვეწარმავლებზეც. ნაკრძალის ტერიტორიაზე

ხმელთაშუაზღვის კუსტოვი *Testudo graeca*, გრძელფეხა სცინკის (*Eumeces schneideri*), თვალტიტველა ხელიკის (*Ablepharus pannonicus*), ჯოჯოსა (*Agama caucasica*) და გველების: დასავლეთის მახრჩობელას (*Eryx jaculus*), ოთხზოლიანი მცურავის (*Elaphe quatuorlineata*), ჩვეულებრივი ანკარასა (*Natrix natrix*) და გიურზას (*Macrovipera lebetina*) ნახვა შეიძლება. შირაქ-ელდარსა და ივრის ზეგანზე გავრცელებული გიურზა საქართველოს ფაუნის შემადგენლობაში ერთადერთი გველია, რომლის შხამი ადამიანის სიცოცხლისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. ადამიანებს ემინიათ გიურზის და ანადგურებენ ყველგან, სადაც კი ხელენიფებათ. ეს ვითარება ამ ქვეწარმავლის პოპულაციას რეალურ საფრთხეს უქმნის.

შხამიანი გველისადმი ადამიანის თანდაყოლილმა შიშმა ერთი კარგი



ოთხზოლიანი მცურავი  
© ა. კოლინაშვილი




© ა. კოდიაშვილი

გიურზა — საქართველოს ყველაზე შხამიანი გველი

შედეგი გამოიღო. კერძოდ ის, რომ გიურზის გავრცელების არეალში ნადირობა და ბრაკონიერობა სეზონური გახდა და ადამიანის მავნე ზემოქმედება შემცირდა. საქართველოში გიურზის შხამით დაღუპულ ადამიანთა რიცხვი (მათ შორის მწყემსების და მონადირეებისაც) საუკუნის მანძილზე ერთეულებს შეადგენს, სამაგიეროდ ამ გველის მსხვერპლი საკმაოდ ხშირად ხდებიან მონადირე ძაღლები, რომლებიც მომაკვდინებელ კბენას თავში — ყველაზე სახიფათო ზონაში იღებენ. ადამიანიც უფრთხილდება საკუთარ და თავის ოთხფეხა მეგობრის სიცოცხლეს. სწორედ გიურზას საბინადრო ადგილებშია შემონახული კაკის ყველაზე დიდი გუნდები, ხოლო ორი სხვა უფრო იშვიათი სანადირო ფრინველის — დურაჯისა და ხოხბის პოპულაციები თითქმის მთლიანად გიურზას გავრცელების არეალშია მოქცეული.

გიურზა, ზოლებიანი ეფთხარევი ქურციკი, წინააზიური ლეონარდი, ლელიანის კატა, სვაკი - ძალიან იშვიათი არსებებია. ზოგი მათგანი უკვე მთელ მსოფლიოში იშვიათია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ზოგი — ჩვენს ქვეყანაში, რადგან მათი არსებობისთვის საჭირო ცხელი ნახევარუდაბნოები მხოლოდ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლანდშაფტები უვარგისია ადამიანის საცხოვრებლად, მათი დიდი ნაწილი უკვე უსაშველოდაა გადაძოვილ-გადანადირებული. ვაშლოვანის ეროვნულმა პარკმა დროზე მოუსწრო საფრთხის ქვეშ მყოფ ამ საინტერესო სახეობებს, რომელთა გარეშე ჩვენი ბუნება და ჩვენც ძალზე გავლარობდებით.



© ა. კოდიაშვილი

ზაფხულში გიურზები ხშირად მიაშურებენ საკმლის ხეებს, სადაც მზის მცხუნვარე სხივებს ემალებიან, ამიტომ ჩრდილში შესვლამდე ხის ტოტები და ძირი კარგად უნდა იქნას დათვალიერებული.



ქართული  
ენობათმცოდნეობის  
ინსტიტუტი



არწივის ხეობა  
© გ. დარჩიაშვილი

## ტურიზმი და ინფრასტრუქტურა

ეროვნული პარკის მსგავსი დაცული ტერიტორიები უცხად და ნაჩქარევად არ იქმნება. ეს რთული პროცესია, რომელშიც კომპეტენტური მეცნიერები, მენეჯმენტის სპეციალისტები, მთავრობა და დონორი ორგანიზაციები, პარკის თანამშრომლები და — რაც მთავარია — მოსახლეობაა ჩართული.

ადგილობრივ მოსახლეობასთან მუშაობის გარეშე შეუძლებელია მსგავსი წამოწყების წარმატებით დაგვირგვინება. ეროვნული პარკი თავისი კანონმდებლობით, რთული სამენეჯმენტო გეგმით, სტრატეგიული ხედვით, საზღვრებით, ზონებით, ამკრძალავი რეჟიმითა და ქცევის წესებით — ახალი წარმონაქმნია. ეს დიდი სიახლეა. სიახლე კი ყოველთვის ცვლილებებს იწვევს. ისინი, პირველ რიგში, ადგილობრივ მოსახლეობას ეხება და ხშირად მის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ვაშლოვანის შემთხვევაში ცვლილებები არა მხოლოდ პარკის მახლობელ სოფლებში მაცხოვრებელ ხალხს შეეხო, არამედ მომთაბარე მწყემსებსაც, რომლებიც რეგულარულად სარგებლობდნენ დღეს უკვე ეროვნული პარკის საზღვრებში მოხვედრილი ტერიტორიებით. ვაშლოვანის ეროვნული პარკი თუშებს ზამთრის საძოვრებს უკვეცავს. თუშეთის ეროვნული პარკისა და დაცული ტერიტორიების შექმნის შემდეგ მათ თავიანთ სამშობლოშიც, თუშეთშიც, ეკრძალებათ ალპური იალალების მნიშვნელოვანი ნაწილის საძოვრებად გამოყენება. ეს ზომები, სამწუხაროდ, გარდაუვალი იყო, რადგან მთაშიც და ნახევარუდაბნოშიც ჭარბმა ძოვებამ ადგილობ-



რივ ეკოსისტემებს ძალიან დიდი ზიანი მიაყენა.

მოსახლეობასთან წინასწარ ჩატარებული სამუშაოები და შეხვედრები სწორედ ადგილობრივებისა და მოზამთრე მწყემსების დიდი ცვლილებებისთვის მომზადებას ისახავდა მიზნად. სადაც არსებობს სიახლისთვის მზაობა, იქ აუცილებლად გაჩნდება სიახლითა და ცვლილებებით მოტანილი სარგებელიც. ეროვნული პარკის შემთხვევაში ამგვარ სარგებელს ტურიზმი წარმოადგენს.

ბოლო ხანებში დედოფლისწყაროში გაჩენილი პატარა ოჯახური სასტუმროები: „მეგზური“, „ვაშლოვანი“, „შირაქი“, „არწივის ხეობა“ უკვე თავისთავად იმის მანიშნებელია, რომ სასტუმროები ეროვნული პარკისა და ბუნების ძეგლების დამთვალიერებლების მომსახურებაზეა ორიენტირებული. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია — ვაშლოვანის მნახველების რიცხვის მატებასთან ერთად აუცილებლად მოიმატებს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში გიდებად, მძღოლებად, ცხენების გამჭირავებლებად ჩართული ადგილობრივების რიცხვი. ადამიანები აუცილებლად დაინახავენ, რომ ბუნების შენარ-



© პ. თავაძე

ორნითოფაუნით მდიდარი ვაშლოვანის ეროვნული პარკი სასურველი ადგილია ფრინველებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

ჩუნებით მოტანილი სარგებელი (მათ შორის მატერიალურიც) მისი განადგურებით მიღებულ ხეირზე გაცილებით დიდია.

დედოფლისწყაროში ჩამოსულ დამთვალეებელს ეროვნული პარკის ადმინისტრაცია რამდენიმე მარშრუტს სთავაზობს: სამანქანოს, ფეხით სასიარულოსა და საჯომარდოს (მდინარე ალაზანზე ნავით დაშვება). მარშრუტები ისეა შედგენილი, რომ ეკოსისტემას არანაირი ზიანი არ მიაყენოს. ნაკრძალსა და მკაცრი დაცვის ზონებში, ჩვეულებრივ, სტუმრის შესვლა შეზღუდულია. ეს უფლება მხოლოდ მცირე რაოდენობის მკვლევარ-მეცნიერებს აქვთ — სპეციალური ნებართვით. სამაგიეროდ, დაცული ტერიტორიების სტუმრებს შეუძლიათ ნაგომრების ქედიდან ხელისგულივით გადაშლილი ნაკრძალის მთელი ტერიტორია იხილონ. შირაქის ველზე მანქანით მოგზაურობისას მნახველი უამრავ ველურ ფრინველს ხედავს — განსაკუთრებით გაზაფხულზე, როდესაც

გარშემო ყველაფერი ბზინვებს და სიცოცხლითაა სავსე. მზანველები მანქანით აღწევენ პანტიშარას ხევში, საიდანაც მეორე, უკვე ფეხით სასიარულო მარშრუტი — „დათვის ხევი“ იწყება.

ფეხით სასიარულო მარშრუტებზე სანახავი კიდეც უფრო მეტია. ალესილების თიხნარები გარეული ცხოველის ძველი და ახალი ნაკვალევითაა სავსე. დათვის, მგლის, ლელიანის კატის, ფოცხვერისა და გარეული ღორის ნაკვალევის ნახვა აქ ჩვეულებრივი ამბავია. ყველაზე ილბიანი მნახველი კი, შეიძლება, ლეოპარდ „ნოეს“ კვალსაც ნაანყდეს. ხვლიკებსა და ქვეწარმავლებს ფეხით მოსიარულე, პრაქტიკულად, ყოველ ნაბიჯზე ხედავს. გამორიცხული არ არის მცირე ზომის ძუძუმწოვრებთან შეხვედრაც.

დათვის ხევის ალესილები მნახველებს კიდეც ერთ სასიამოვნო სიურპრიზს — პრეისტორიულ ფაუნასთან შეხვედრას უმზადებს. გაშიშვლებული ქანების დალექილ ფენებში დაკვირვებული თვალი ადვილად



© ვ. ბუხაიძე

ქანებში დარჩენილი მოლუსკების ნიჟარები იმაზე მიუთითებენ, რომ ერთ დროს ეს ადგილები ზღვით იყო დაფარული.




“დათვის ხევეში” შემონახული პრეისტორიული ცხოველის — სამხრეთული სპილოს განამარხებული ძვლები.

შეამჩნევს ზღვის მოლუსკების კარგად შემონახულ ნიჟარებს. ეს მოლუსკები ვაშლოვანის ყველაზე ძველი ბინადრები არიან — ჯერ კიდევ იმდროინდელი, როდესაც აქაურობა ზღვით იყო დაფარული. იმავე დათვის ხევეში კიდევ ერთი, შედარებით „ახალგაზრდა“ პრეისტორიულ ცხოველს შეხვდებით — თიხის ბორცვიდან სამხრეთული სპილოს გაქვავებული ჩონჩხის ნაწილია გამოშვერილი.

საერთოდ, მთელი ეს დაცული ტერიტორიები და მათ შორის არწივის ხეობაც, იდეალური ადგილია Bird Watching-ისთვის. ეს ინგლისური ტერმინი ფრინველებზე დაკვირვებას ნიშნავს და დღევანდელ სამყაროში ტურიზმის ერთ-ერთ ძალზედ პოპულარულ სახეს წარმოადგენს. ადამიანი სულ უფრო ხშირად ცდილობს თავისუფალი დრო თანამედროვე ტექნოლოგიებიდან და ცხოვრების დაჩქარებული ტემპიდან შორს გარიდებულმა, სადმე ბუნების ნიაღში, ცოცხალი არსებების სიახლოვეს გაატაროს. ჩვენში Bird Watching შედარებით ახალი ხილია, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა

კუთხეში უკვე სულ უფრო ხშირად შეხვდებით დასავლელი ტურისტების ძვირადღირებული ჭოგრიტებითა და დურბინდებით შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც იშვიათ ფრინველებზე დაკვირვებით არიან გაართულები. ამ სახის ტურისტებისთვის ორნითოლოგიურად მდიდარი ვაშლოვანი მართლაც სასურველი ადგილია.

ალაზანზე ნავებით დაშვება კი ერთდროულად „ექსტრიმიცაა“ და ბუნებით ტკობაც. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საჯომარდო მარშრუტი სოფელ ნითელი საბათლოდან იწყება და მიჯნისყურემდე აღწევს. ალბათ, ძალიან საინტერესო უნდა იყოს



დურბინდისა და ტელესკოპის გამოყენებით ფრინველებზე დაკვირვება შორი მანძილიდან, მათი შეწუხების გარეშე შეიძლება.

რეზინის ნავით მოგზაურობა მდინარეზე, რომლის ერთი ნაპირი საქართველოა, ხოლო მეორე — აზერბაიჯანი. ნაპირები მშვენიერი ქალის ტყითაა დაფარული, ტყის ზოლის უკან კი ლამაზად მოჩანს ალესილები. ალაზანზე დაშვებისას მუდმივად გესმით ქალაში მობუდარი ფრინველების გალობა და აუცილებ-

ლად დაინახავთ წყლის ფრინველებსაც — ყანჩებსა (*Ardea...*, *Egretta...*) და ჩვამებს (*Phalacrocorax...*). ფართო, მდორე მდინარის კალაპოტს იხვინჯვების, გარეული იხვებისა და წითელი იხვების გუნდები დასტრიალებენ. წლის გარკვეულ დროს შეიძლება შაკის თევზზე ნადირობა იხილოთ. თევზზე მონადირე უიშვიათესი თეთრკუდა ფსოვის (*Haliaeetus albicilla*) ნახვას ნამდვილად ვერავინ შეგპირდებათ, მაგრამ არც მსგავსი შეხვედრაა გამორიცხული.


აღსანიშნავია, რომ მარშრუტის ბოლოს — მიჯნისყურეში ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ დაშვებულია ანკესით სპორტული თევზაობაც.

სპორტული თევზაობის მსგავსად, ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ ადგილებში პარკის ტერიტორიაზე ნებადართულია ადამიანის ნებისმიერი სახის ქმედება — გადაადგილება, ღამის თევა თუ კოცონის დანთება. აკრძალულია ცეცხლსას-

მცირე საინფორმაციო ცენტრი „არნივის ხეობაში“



როლი იარალის ტარება და მოგზაურობისას შინაური ცხოველების თანხლება. ამ პირობების დაცვაზე გამოყოფები და პარკის გარშემო ოთხ საგუშაგოზე მუდმივად მორიგე რეინჯერები ზრუნავენ. ეს ის აუცილებელი ზომებია, ურომლისოდაც დაირღვევა ბუნებაში არსებული ბალანსი და ეროვნული პარკი აუცილებლად დაკარგავს იმ პირველქმნილობასა და ხელუხლებელ სიველურეს, რომელიც აგრერიგად ხიბლავს მნახველს.



© ა. კოდიაშვილი

საპიკნიკე ადგილი „დათვის ხევი“

# კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება

## ტურისტული მარშრუტების მოკლე დახასიათება

### 1. საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი:

#### „დათვის ხევი“

მარშრუტი იწყება პანტიშარას ხევის ერთ-ერთი განშტოებიდან — დათვის ხევიდან, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროდან 60კმ-შია. მარშრუტის მთავარი სანახაობაა სამხრეთული სპილოს გაქვავებული ძვლები. მათ შორის ყველაზე დიდია ბეჭის ძვალი, რომელიც 87 სანტიმეტრს აღწევს და კარგად წარმოაჩენს მილიონი წლის წინ მცხოვრები ძუძუმწოვრის გიგანტურ ზომას.

მარშრუტის ხანგრძლივობაა ერთი დღე, სიგრძე — 3 კილომეტრი.

**სასურველია უხეში ქსოვილის საველე შარვლის ჩაცმა და მაღალყელიანი ფეხსაცმლის ტარება.**

#### აკრძალულია:

- ნებისმიერი ცხოველის (შინაურის ან გარეულის) თანხლებით მარშრუტზე გასვლა.
- ცეცხლსასროლი ან ნებისმიერი ტიპის იარაღის თანხლება.
- მცენარეების ან მისი ცალკეული ნაწილების, ქანების ან ნამარხი მასალის აღება.
- ფაუნის ნებისმიერი წარმომადგენლის დაჭერა, გამოდევნება, ან რაიმე ზიანის მიყენება.
- ხეებზე ასვლა, კლდეებზე აძრომა ან გამოქვაულში შესვლა. მდინარის პირზე, კლდის ქიმზე ან ხევისპირზე 0,5 მ მანძილზე ახლოს დგომა.
- შეზღუდული თვალთახედვის პირობებში (ნისლი, ბუჩქნარი, მაღალი ბალახი) სწრაფი გადაადგილება. ყვირილი, ხმაური.
- ცეცხლის დანთება (ნებადართული ადგილის გარდა).

#### „არწივის ხეობა“

მარშრუტი იწყება არწივის ხეობის შესასვლელთან საინფორმაციო ცენტრში, სადაც ვიზიტორს ეძლევა საშუალება, მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ, აქედან საფეხმავლო ბილიკი მიემართება კირქვიანი კლდეების გასწვრივ და მიდის კლდის ძირებთან, სადაც შესაძლებელია იშვიათი ენდემური მცენარის კახეთის მაჩიტას ნახვა. შემდეგ ბილიკი მიემართება ხეობის დასავლეთ კალთაზე არსებული გადასახედებისკენ, საიდანაც ჩაკიდული კლდეების ფონზე მონავარდე ორბების თვალჩერების საშუალება გეძლევათ. ხეობაში კიდევ 9 სახეობის მტაცებელი ფრინველის ნახვაა შესაძლებელი. მტაცებლების გარდა არწივის ხეობაში სხვა გამორჩეული სილამაზის ფრინველებსაც შეხვდებით, მათ შორის კოლხურ ხოხობსა და შავ ყარყატს.

### აკრძალულია:

- ფრიალო კლდის კიდეებთან 1,5 მეტრზე ახლოს მისვლა.
- ნებისმიერი ცხოველის (შინაურის ან გარეულის) თანხლებით მარშრუტზე გასვლა.
- ცეცხლსასროლი ან ნებისმიერი სხვა ტიპის იარაღის თანხლება.
- მცენარეების ან მისი ცალკეული ნაწილების, ქანების, ან სხვა ბუნებრივი მასალის აღება.

## 2. სამანქანო ტურისტული მარშრუტი

### „პანტიშარა“

ინყება დედოფლისწყაროში და მიემართება პანტიშარას ხეობისკენ. ნაკრძალის სიახლოვეს, საავტომობილო გზის გასწვრივ, თვალში მოგხვდებათ ზღაპრული შეფერილობის კვირიონები და ყაყყაპები, ხეობის ცენტრში კლდეზე მერცხლებს საკუთარი ქალაქი აუშენებიათ. გაზაფხულზე აქ ათასობით ფრინველი იზუდებს.

გზა რიყეზე ძველი საყარაულო კოშკის გასწვრივ მიემართება და მთავრდება ფრინველთა დაკვირვების პუნქტთან, აქედან შესაძლებელია კლდოვანი ალესილების ფონზე მსხვილი მტაცებელი ფრინველების: სვაგებისა და ორბების თვალიერება. დათვის ხევისა და პანტიშარას ხეობის შეერთების ადგილას მოწყობილია სპეციალური საპიკნიკე — სანკვანძითა და მანქანის გასაჩერებელი ადგილით, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეისვენონ.

მარშრუტის ხანგრძლივობა – ერთი დღე, სიგრძე — 130 კმ.

### „ჯუმასყურა“

ინყება ქალაქ დედოფლისწყაროდან, გვერდით ჩაუვლის ქიზიყის ერთ-ერთ მთავარ სალოცავს — „წმინდა ელიას მთას“, ბუნებრივ მარილიან ტბას „ქოჩორას“, შუაზე კვეთს შირაქის ველს, ეროვნული პარკის შესასვლელთან გადაუხვევს იმედას წყლის მიმართულებით და ალფარადასა და ლორისწყლის სათავეების გავლით ადის შავ მთაზე. მარშრუტის ხანგრძლივობაა დღენახევარი, სიგრძე — 210 კმ.

ავტომობილით მგზავრობისას საჭიროა უსაფრთხოების ღვედების გამოყენება, სიჩქარე 30-60 კმ/სთ.

სასურველია საველე უხეში ქსოვილის შარვლის ჩაცმა, მაღალყელიანი ფეხსაცმლის ტარება.

### აკრძალულია:

- ნებისმიერი ცხოველის (შინაურის ან გარეულის) თანხლებით მარშრუტზე გასვლა.
- ცეცხლსასროლი ან ნებისმიერი სხვა ტიპის იარაღის თანხლება.
- მცენარეების ან მისი ცალკეული ნაწილების, ქანების ან ნამარხი მასალის აღება.
- ყვირილი, ხმაური, ფაუნის წარმომადგენელთა გამოდევნება/შენუხება, ხეებზე ასვლა, კლდეებზე აძრომა, გამოქვაბულში შესვლა, კლდის ქიმზე ან ხევისპირზე 0,5 მ მანძილზე ახლოს დგომა.

- შეზღუდული თვალთახედვის პირობებში (ნისლი, ბუჩქნარი, მაღალი ბალახი) სწრაფი გადაადგილება.
- ცეცხლის დანთება (ნებადართული ადგილის გარდა).

### 3. საჯომარდო ტურისტული მარშრუტი „ალაზანი“

მარშრუტი იწყება ქ. დედოფლისწყაროდან. ვიზიტორები მანქანით მიემართებიან ეროვნული პარკისაკენ, გაივლიან “ნმინდა ელიას” მთას, ბუნებრივ მარილიან ტბას — „ქოჩორას“ და გადაკვეთენ შირაქის ველს. სოფელ საბათლოს გავლით მდ. ალაზანზე, ჰერეთის ფონის ნავმისადგომთან, ჩასხდებიან საჯომარდო ნავებში, გაუყვებიან მდინარე ალაზანს, დაათვალიერებენ მის უმშვენიერეს ჭალებს, თვალწარმტაც ალესილებს და დატკებებიან ფრინველების გალობით. აქვე მოწყობილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. მარშრუტი გრძელდება მანქანით და ტახისწყლის გავლით ვიზიტორები მიემართებიან დედოფლისწყაროში.

მარშრუტის ხანგრძლივობაა დღენახევარი, სიგრძე — 200 კილომეტრი.

სასურველია საველე უხეში ქსოვილის შარვლის ჩაცმა, მაღალყელიანი ფეხსაცმლის ტარება.



#### გაითვალისწინეთ!

- საველე საკვებით უზრუნველყოფა თავად ვიზიტორთა მოსაგვარებელია.
- ჯგუფის მინიმალური რაოდენობაა 6 კაცი, მაქსიმალური — 12.
- 10 წლამდე ასაკის ბავშვები ზოგიერთ მარშრუტზე არ დაიშვებიან.

დაცულ ტერიტორიაზე შესვლა, პარკინგი, საკემპინგე ადგილის დაქირავება, მარშრუტზე გიდის თანხლება, ნავისა და ცხენის დაქირავება ფასიანია.



# მთავაზოვთ ვაშლოვანის ეროვნული პარკის დამცვარე ზონაში არსებულ სასტუმროთა ჩამონათვალს.

სამსახლიან სასტუმროთა კომპლექსი „მეგზური“. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, თაყაიშვილის ქუჩა 3, სასტუმროში ერთდროულად შესაძლებელია 24 ვიზიტორის მიღება.

მეგზური

## ქიზიყი და ვაშლოვანი

ორსახლიან სასტუმროთა კომპლექსი „ქიზიყი და ვაშლოვანი“. მისამართი ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქუჩა 15, შესაძლებელია ერთდროულად 15 ვიზიტორის მიღება.

საოჯახო სასტუმრო „შირაქი“. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო ფიროსმანის ქუჩა 19, ერთდროულად შესაძლებელია 10 ვიზიტორის მიღება.

შირაქი

## არნივის ხეობა

საოჯახო სასტუმრო „არნივის ხეობა“. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო კოსტავას ქუჩა 52. ერთდროულად შესაძლებელია 6 ვიზიტორის მიღება.

სამონადირო მეურნეობის კოტეჯები „დალის მთა“.

დალის მთა

## ვაშლოვანი

სასტუმრო „ვაშლოვანი“. მის: ქ. დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქუჩა.


შესაძლებელია სტუმრების მიღება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციულ შენობაში (კომფორტული, 3 ორკაციანი ნომრით.)

ვიზიტორებს საშუალება აქვთ ღამე გაათენონ კომფორტულ ბუნგალოებში, რომელთაგან — 9 ორკაციანი ბუნგალო მდებარეობს ვიზიტორთა ცენტრში, 6 კი — მიჯნის ყურეში.

დანვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:

[www.vashlovanipa.ge](http://www.vashlovanipa.ge)

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების  
ადმინისტრაციის მისამართი:  
ქ. დედოფლისწყარო ბარათაშვილის ქ. 5  
ელ. ფოსტა: [vpadirection@yahoo.com](mailto:vpadirection@yahoo.com)  
ტელ: 893 21 99 86



ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების  
ადმინისტრაციული შენობა

დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის მისამართი:

თბილისი, გულუას ქ.6

ტელ./ფაქსი: 75 23 55

ელ. ფოსტა: [info@dpa.gov.ge](mailto:info@dpa.gov.ge)

ვებ-გვერდი: [www.dpa.gov.ge](http://www.dpa.gov.ge)





F 90.596  
3  
304036340  
3034000933

